შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი, ს/ნ: 454407721
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

3. ძირითადი საშუალებები

4. არამატერიალური აქტივები

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

6. დებიტორული დავალიანება 7. საკუთარი კაპიტალი

8. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

9. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

6

(ლარი)

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	**31/12/2024**	**31/12/2023**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	103596	640760
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	144506	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	149959	924018
მარაგები	11141465	7897411
მზა პროდუქცია	11034868	7460280
სხვა	106597	437131
საინვესტიციო ქონება	0	626694
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0
ძირითადი საშუალებები	190263	328515
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	11729789	10417398

ხელმომწერი პირი:
ნინო ნემსაძე

სახელი გვარი - დირექტორი

ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	813825	0
ანარიცხები	0	70321
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	8800
საგადასახადო ვალდებულებები	0	62895
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4788755	7166393
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	6127209	2488588
სულ ვალდებულებები	11729789	9796997
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	620401
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	0	620401
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11729789	10417398
სულ მოკლევადიანი აქტივები	267970	924018
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	8088
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0

შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი, ს/ნ: 454407721
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(ლარი*

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	**31/12/2024**	**31/12/2023**
ნეტო ამონაგები	6755891	2711322
საქონლის გაყიდვიდან	6658826	2711322
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	97065	0

გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	6755891	2711322
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-806175	-624228
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-158403	-221107
საპროცენტო შემოსავალი	2155	5532
საპროცენტო ხარჯი	-677584	-736202
იჯარის ხარჯი	-10063	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-165803	-337621
სულ საოპერაციო ხარჯები	-1815873	-1913626
საოპერაციო მოგება	4940018	797696
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	-18615
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-21978	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-236786	151836
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	4681254	930917
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	4681254	930917
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	4681254	930917
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	620401	-118263
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-5301655	0

კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-192253
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	620401
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ხელმომწერი პირები:

ნინო ნემსაძე

სახელი გვარი - დირექტორი

შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი, ს/ნ: 454407721
ფინანსური ანგარიშგება 2024წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *(ლარი)*

ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2061699	-2798002
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2576885	2809488
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-515186	11486
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-21978	-18614
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	640760	647888
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	103596	640760

ხელმომწერი პირები:
ნინო ნემსაძე

სახელი გვარი - დირექტორი

შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი (შემდეგში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 454407721). კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო,თბილისი, ვაკის რაიონი, დ. წყნეთი, ოქტომბრის ქ., N8 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობა კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 21 მარტს და ანგარიშგების მომზადების თარიღის დროს კომპანიის მესაკუთრეები არიან: კახაბერ კახიანი, რომელიც ფლობს კომპანიის 50%-ს და ანა ჩიგოგიძე, 01008003978 ,რომელიც ასევე ფლობს კომპანიის 50 %-ს, კომპანიის დირექტორებს წარმოადგენენ :ალექსანდრე მაღალაშვილი, 01025010734 ,ერთპიროვნული ნინო ნემსაძე, 01008051208 ,ერთპიროვნულ

მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
მომზადების საფუძველი
აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).
უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანის დროს 2024 წლის 31 დეკემბერს გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი, ს/ნ: **454407721**
ფინანსური ანგარიშგება **2024** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით **(ლარი)**

	1 იანვარი 2024	31 დეკემბერი 2024
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.6894	2.8068
1 ევრო/ლარი	2,9753	2.9306

წარდგენის ვალუტა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა ვადა68ც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. საბანკო ოვერდრაფტები ასახულია სესხების ნაწილში, მიმდინარე ვალდებულებებში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები
კომპანიის მიერ რეალიზაციის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება შემუშავებული ჩვეულებრივი პირობებით, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმ ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრება ამ თანხების ამოღებადობის შესაძლებლობა. თუკი არსებობს მსგავსი სახის მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები
სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება შემდეგი პრინციპით: ისტორიულ ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	25-50 წელი
მოწყობილობა-დანადგარები	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-15 წელი
კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი	5-18 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-10 წელი

თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შეადგენს 3-10 წელს.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ გაირკვევა, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის ნორმა მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ მოცემული აქტივის ცვეთა გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ

აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუკი არსებობს ასეთი ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს აქტივის (დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტესტირება გაუფასურებაზე, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ გაუფასურებულია, სმფ-ს საბალანსო ღირებულება მცირდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი კი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სმფ-ს შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ
შპს სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტი, ს/ნ: **454407721**
ფინანსური ანგარიშგება **2024** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით **(**ლარი**)**

შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები
სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი პირობების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს და არ ითვალისწინებს რაიმე პროცენტებს.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ლარში (საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით). ასეთი საკურსო სხვაობით წარმოქმნილი
შედეგი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები
სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება

ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

საკუთარი კაპიტალი
კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება.

ამონაგების აღიარება ამონაგების აღიარება საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) ხდება როცა მყიდველს მიეწოდება საქონელი (მომსახურება) და გადაეცემა საკუთრების უფლება. შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, მიღებული/მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-სა და ყოველგვარი ფასდათმობის გარეშე. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ასახვა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კომპანიების მოგების გადასახადით დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

დღგ
კომპანია გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების
გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო
ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შვებულებებს, ბიულეტენებს და არაფულად სარგებლებს კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არაარსებითობის გამო კომპანიის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების ასახვა/აღრიცხვა.

დივიდენდის განაწილება
დივიდენდების ვალდებულებად აღრიცხვა ხდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადებისა და დამტკიცების შესაბამის პერიოდში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ნინო ნემსაძე